

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლების N65

18 ივლისი 2019 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, აპოლონ რამიშვილი, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი:

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) სს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლოთ, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) სს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში თამარ მეფისა და სოლომონ II -ის ქუჩების კვეთასთან არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“ - სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით, ორი წლის ვადით გადაცემაზე.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) სს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/დანართი 2/

მოხმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ-„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

/დანართი 3/

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა:

- 1.გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა.
- 2.ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.
- 3.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობა
- 4.2020 წელში რგპ ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების შერჩევის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე